ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. ნ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.03.2020
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 044/20
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. დ.-ის /სიითი №/ მიმართ
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. დ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2020 წლის 23 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ნ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ა. დ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და იურიდიული მომსახურებისთვის გადაცემული თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ ა. დ.-ს სამართლებრივი დახმარების მისაღებად 2015 წლის 13 ოქტომბერს მიმართა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვარკეთილის მეურნეობაში მცხოვრებმა კ. გ.-მა მოტყუებით, თაღლითური გზით გამოსძალა 4000 ევრო და შეპირდა შენგენის ვიზის მიღებას. საჩივრის ავტორმა სწორედ აღნიშნული თანხის დაბრუნებისთვის დაიქირავა ადვოკატი ა. დ.. ადვოკატმა ა. დ.-მა ლ. ნ.-თან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა და შეპირდა თანხის დაბრუნებას. ადვოკატმა კლიენტს საქმის საწარმოებლად გამოართვა 400 ლარი. მხარეები საქმის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, დამატებით შეთანხმდნენ წარმატების ჰონორარზე - 1000 ლარის გადახდაზე.

1.4 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატს არაფერი გაუკეთებია მის საქმეზე. მხოლოდ ეკონომიკური და მორალური ზიანი მიაყენა, რადგან იბარებდა რაიონიდან თბილისში და იმალებოდა. ეს გრძელდებოდა 4 წლის განმავლობაში. როდესაც კლიენტი შეხვედრას სთხოვდა

ადვოკატს, იგი პოლიციის განყოფილებაში, პროკურატურაში საათობით ალოდინებდა და ტელეფონზე არ პასუხობდა, ბოლოს საერთოდ შეწყვიტა ადვოკატმა ლ. ნ.-თან კომუნიკაცია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. დ.-მა 2021 წლის 27 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის თანახმად, ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს და ითხოვს, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2015 წელს ლ. ნ.-ს საქმეზე პირველად ლ. ნ.-ს დამ, ნ. ნ.-მა მიმართა იმისათვის, რომ ლ. ნ.-სთვის გაეწია საადვოკატო მომსახურება. იმ პერიოდში ლ. ნ. არ იმყოფებოდა საქართველოში და დისგან მიღებული ინფორმაციით, მოგვიანებით თავად ლ. ნ. დაუკავშირდა ელექტრონული საშუალებით და თავისი ინიციატივით უგზავნიდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს თავის საქმეზე რა გადახდა, რა ვითარებაში გაემგზავრა საზღვარგარეთ და რატომ თვლიდა თავს მოტყუებულად. ლ. ნ.-მა სთხოვა მისთვის პროკურატურაში წარსადგენად შეედგინა განცხადება და როდესაც საქართველოში დაბრუნდებოდა, დადებდნენ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას და პოლიციაშიც მიყვებოდა. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინა საჩივარი, რომელიც ეხებოდა კლიენტის მიმართ კ. გ.-ის მხრიდან ჩადენილ სავარაუდო თაღლითობის ფაქტს. საჩივარი კლიენტს გაუგზავნა და შეთანხმების მიხედვით, კლიენტი საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას მიმართავდა. ადვოკატის მითითებით, საჩივარი იყო საკმაოდ მოცულობითი.

2.3 ადვოკატი ა. დ. განმარტავს, რომ 2016 წლის 16 იანვარს ლ. ნ. კვლავ დაუკავშირდა, უთხრა, რომ საქართველოში იმყოფებოდა, მიაკითხა დასთან ერთად და სწორედ ამ დღეს დადეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წერილობით, რომელსაც იგი დეტალურად გაეცნო. ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი ა. დ. ლ. ნ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში, საადვოკატო მომსახურების ჰონორარად განისაზღვრა 400 ლარი, მხოლოდ ორდერის ღირებულება. ლ. ნ. გაეცნო ადვოკატის მიერ შედგენილ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, მოიწონა და პირობებზე თანხმობა დაადასტურა ხელმოწერით.

2.4 ადვოკატის მითითებით, კ. გ.-ის მიმართ, ვის მიმართაც პრეტენზიას აცხადებდა ლ. ნ., სხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა წარმოება. ლ. ნ.-თან შეთანხმებით, იგი საქმეზე დაუკავშირდა რაიონის პროკურორს, რომელსაც ერთად შეხვდნენ და განიხილეს საქმის დეტალები. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივარი თავად შეადგინა, მაგრამ ლ. ნ.-ს სახელით და ხელმოწერით, ადვოკატის ორდერის დართვით ჩააბარეს კანცელარიაში პროკურორთან შეხვედრის დასრულების შემდეგ. გარკვეული პერიოდის შემდეგ პროკურატურიდან განცხადება გადაიგზავნა ისანი-სამგორის რაიონის პოლიციაში, დაეწერა საქმე ი. ქ.-ს, სადაც კლიენტი გამოიკითხა და ადვოკატიც ესწრებოდა მოცემულ გამოკითხვას. გამოკითხვის შემდეგ ადვოკატი მუდმივად უკავშირდებოდა გამომძიებელს, პროკურორს, ეკითხებოდა მათ ხომ არ იყო რაიმე სახის დახმარება საჭირო მისი მხრიდან და რა ეტაპზე იყო საქმე. გამოკითხვის შემდეგ ლ. ნ.-თან ერთადაც შედიოდა გამომძიებელთან საქმეზე სიახლეების გასაგებად. საბოლოოდ საქმე

გაიგზავნა მე-9 განყოფილებაში და წარმოების შედეგად არ დაკმაყოფილდა ლ. ნ.-ს საჩივარი, რადგან არ შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებები, რომ ლ. ნ.-ს ეპიზოდზე ბრალი წაყენებოდა კ. გ.-ს. საქმის შედეგიდან გამომდინარე ლ. ნ. განაწყენდა და გაუჩნდა ადვოკატის მიმართ პრეტენზიები, ასევე ითხოვდა მისგან მიღებული ჰონორარის დაბრუნებას და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საქმის გამოძიების პროცესში კლიენტი სთხოვდა მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კ. გ.-ს შეხვედროდა და მასზე გარკვეული გავლენა მოეხდინა, რომ თანხა ნებაყოფლობით დაებრუნებინა ლ. ნ.-სთვის. ადვოკატმა კლიენტს არაერთხელ განუმარტა, რომ ის არ წარმოადგენდა კ. გ.-ის ადვოკატს და არ ჰქონდა მასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვედრის უფლება.

2.6 ადვოკატი მიუთითებს, რომ კლიენტისთვის გარანტია საქმის მისთვის სასურველი შედეგით დასრულების თაობაზე არ მიუცია და ვერც მისცემდა, რაც წერილობითაც ეცნობა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით და ზეპირადაც განემარტა.

2.7 ადვოკატი მიიჩნევს, რომ ლ. ნ.-ს მხრიდან არასწორად არის გადმოცემული გარემოებები. კერძოდ, კლიენტთან კომუნიკაციის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, როდესაც პროკურორს უნდა შეხვედროდნენ, მას აცნობა შეხვედრის დრო, თუმცა იგი ადრე ჩამოვიდა და მოუწია გარკვეული პერიოდი დაცდა, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატისგან შეხვედრის დროზე ინფორმაცია მიღებული ჰქონდა. ადვოკატს კლიენტთან საქმეზე არაერთხელ ჰქონდა სატელეფონო და უშუალო კომუნიკაცია და საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტი ყოველთვის სწორად იყო ინფორმირებული.

2.8 ადვოკატი მიიჩნევს, რომ კლიენტს შეთანხმებული წესით გაუწია საადვოკატო მომსახურება, ამ პროცესში სრულად მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და იცავდა ეთიკის სტანდარტებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ლ. ნ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 23 მარტს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2016 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. დ.-ისთვის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატება შემდეგში: ადვოკატმა მას გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება; ადვოკატს ჰქონდა კლიენტთან ურთიერთობის პრობლემა, რადგან იბარებდა მას რაიონიდან თბილისში და არ ხვდებოდა ან კლიენტი შეხვედრას სთხოვდა ადვოკატს, იგი პოლიციის განყოფილებაში, პროკურატურაში საათობით ალოდინებდა და ტელეფონზე არ პასუხობდა; ბოლოს ადვოკატმა საერთოდ შეწყვიტა ლ. ნ.-თან კომუნიკაცია.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. დ.-ისთვის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> აპეკ-ის მე-8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“
>
> აპეკ-ის მე-8.6 მუხლი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.”

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით მოიპოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და წარმოადგინოს კლიენტი სხვადასხვა ორგანოსა თუ დაწესებულებაში. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.

5.4 კვალიფიციურად წარმომადგენლობა ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.

5.5 პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს

საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.“

5.6 ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №083/18).

5.7 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ ა. დ.-ისთვის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხს, რაზეც დაყენებული პრეტენზიების შინაარსიდან გამომდინარე დაობს კლიენტი ლ. ნ.. ეთიკის კომისიამ უნდა გაარკვიოს ფლობდა თუ არა კლიენტი ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების თაობაზე ინფორმაციას და ადვოკატი რამდენად მოქმედებდა კლიენტის მითითებების გათვალისწინებით - დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

5.8 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. დ.-ს მის საქმეზე სათანადო მოქმედებები არ განუხორციელებია; იბარებდა მას სხვადასხვა სტრუქტურაში, საათობით ალოდინებდა და ტელეფონზეც არ პასუხობდა. საბოლოოდ საერთოდ შეწყვიტა კლიენტთან ურთიერთობა. ადვოკატი არ იზიარებს ლ. ნ.-ს პრეტენზიებს, ვინაიდან მისი შეფასებით, მან კლიენტს შეთანხმებული წესით გაუწია საადვოკატო მომსახურება და იგი ამ პროცესში სრულიად მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან, უკავშირდებოდა შესაბამის ორგანოებს და საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდიდა თავის კლიენტს, ასევე ადვოკატის განმარტებით, იგი იცავდა პროფესიული ქცევის სტანდარტებს და ამის დასადასტურებლად მას წარმოდგენილი აქვს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ისანი-სამგორის სამმართველოს პასუხი განცხადებაზე.

5.9 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების პირობებში მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტებთან შემხებლობის მქონე მტკიცებულებებს. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი 2016 წლის 16 იანვრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანი განისაზღვრა შემდეგნაირად - დამკვეთი (ლ. ნ.) ავალებს, ხოლო შემსრულებელი (ადვოკატი ა. დ.) იღებს ვალდებულებას განახორციელოს ლ. ნ.-ს ინტერესების დაცვა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში. ჰონორარის სახით განისაზღვრა 400 ლარი. ხელშეკრულების პირობების მოწონებას ხელმოწერით ადასტურებს ლ. ნ.. ხელშეკრულების დადების მომენტში ადვოკატმა კლიენტს არ მისცა გარანტია, რომ საქმე აუცილებლად კლიენტის სასარგებლოდ დასრულდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს 2021 წლის 30 სექტემბრის მიმართვის პასუხით დგინდება, რომ 2017 წლის იანვრის თვეში ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურიდან გადმოიგზავნა ლ. ნ.-ს განცხადება,

რომელსაც ერთვოდა ადვოკატ ა. დ.-ისთვის ორდერი, სიითი №, ასევე 2017 წლის 27 იანვარს ლ. ნ.-ს გასაუბრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ადვოკატი. ადვოკატ ა. დ.-ისთვის განცხადება, რადგან ანალოგიურ ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება, ლ. ნ.-ს განცხადება თანდართული დოკუმენტებით შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-11 განყოფილებაში.

5.10 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით და აგრეთვე მხარეთა პოზიციებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ადვოკატმა ა. დ.-მა ლ. ნ.-თან შეთანხმებული მომსახურების შესრულების მიზნით გადადგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი, კერძოდ, კლიენტთან შეთანხმებით შედგენილი საჩივრით მიმართა პროკურატურას, დაესწრო კლიენტის გამოკითხვას, მუდმივად უკავშირდებოდა შესაბამის ორგანოებს და საქმის მიმდინარეობის შესახებ აცნობებდა ლ. ნ.-ს. საქმეში არსებული მასალები და მხარეთა პოზიციები კოლეგიისათვის ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე და საქმის მიმდინარეობაზე კლიენტს ინფორმაცია ჰქონდა ადვოკატისგან. საქმეზე დამდგარი არასასურველი შედეგი არ მიუთითებს ადვოკატ ა. დ.-ისთვის არაკვალიფიციურობაზე, ვინაიდან ადვოკატი პასუხისმგებელია ცოდნითა და უნარებით კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვაზე, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაში საქმეზე სამართალდამცავი ორგანო იღებდა.

5.11 ლ. ნ.-ს განმარტებიდან გამომდინარე, რომ ადვოკატმა მიაყენა ეკონომიკური და მორალური ზიანი, კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მსჯელობა. ეთიკის კომისია არის დისციპლინური დევნის ორგანო და მისი ფუნქციაა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-მე-8 მუხლებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში შეამოწმოს ადვოკატის მიერ პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცულობა და მიღებული გადაწყვეტილება აცნობოს მხარეებს.

5.12 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №044/20 ადვოკატ ა. დ.-ისთვის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/